

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის

შალვა ოგბაიძის

წარმომადგენლობა

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შალვა ოგბაიძის 2018-2019 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის #26-113 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ 1 გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის“ (დანართი 2) შესაბამისად, წარმოვიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია:

2017 წლის ნოემბრიდან მეექვსე მოწვევის საკრებულოს წევრი.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრი.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 სხდომა. ჯამში, მიღებულ იქნა 98 დადგენილება და 434 განკარგულება. გაცდენა მქონდა მხოლოდ 1 სხდომაზე.

დავესწარი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 15 სხდომას, სადაც განხილულ იქნა 25 საკითხი,დავესწარი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისს 15 სხდომას.

2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე ჩატარდა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის 16 სხდომა, დავესწარი ყველა სხდომას.
.

მოგეხსენებათ რომ ავჭალა თბილისის გარეუბანია 1962 წლიდან, ამჟამად გლდანის რაიონის ნაწილი. ავჭალის მოსახლეობა 36000 აღემატება.

როგორც ჩვენთვის ცნობილია აღნიშულ ტერიტორიაზე ცხოვრობს ბევრი იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი პირი, ამიტომ ჩვენი რაიონის სოციალური ფონი საკმად დაბალია.

ტერიტორიაზე განლაგებული სხვადასხვა საწაროები მაგალითად როგორიც არის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური, ელმავალმშენებელი ქარხანა, თუჯსამსხმელო ქარხანა ცენტროლიტი, შამპანიურის ქარხანა, კონიაკის ქარხანა, ღვინის ჩამომსხმელი ქარხნები, ჩაის საწონი ფაბრიკა და სხვა,აქედან გამომიდინარე გარემოს დაბინძურების პრობილი საკმაოდ მაღალია.

მე როგორც მაჟორიტარი ვიბრძვი რომ გავაუმჯობესო ყოფა თითოეული მოქალაქისთვის, რაც გამოიხატება შესრულებულ სამუშაოებში რომელიც ქვემოთ არის მოყვანილი.

როგორც ავჭალის მაჟორიტარ დეპუტატს, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია მოსახლეობასთან სისტემური კომუნიკაცია.

საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ბიურომ ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის 20 თებერვლიდან და ამ დროისთვის ჩემი სხდომებზე ყოფნის პერიოდში წარმომადგენლობამ კონსულტაცია გაუწია 2800-ზე მეტ მოქალაქეს. მოგეხსენებათ რომ ჩემი ბიურო შედგება 3 თამაშრომლისგან

ბუროს ხელმძღვანელი-ანდრია კაპანაძე
წარმომადგენლობის სპეციალისტი-ციცი ჩაბაიძე
წარმომადგენლობის სპეციალისტი-ანნა ირემაშვილი

წარმომადგენლობა

მათი ფუნქციები თანაბრად არის გადანაწილებული სხვადასვა მიმართულებეით. წარმომადგენლობა მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა. მოქალაქეების მიღების ოფიციალური დღე ოთხშაბათია, თუმცა შეხვედრები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ეს საშუალებას მაძლევს ზუსტად და მკაფიოდ გამოვავლინო ის საკითხები, რომელიც მოსახლეობისთვის პრიორიტეტულია. საანგარიშო პერიოდში მქონდა 47 მიღება. შევხვდი 1000-ზე მეტ მოქალაქეს. გარდა ამისა, ავჭალის ტერიტორიულ ერთეულში მქონდა 150-ზე მეტი გასვლითი შეხვედრა, ტერიტორიაზე არსებული პრობლემების ადგილზე უკეთ შესწავლის მიზნით. ჩემი არყოფნის დღეებში ბიუროს თანამშრომლები აქტიურად ეწევიან მოქალაქეთა მიღებას. უწევენ კონსულტაციებს კომპეტენციის ფარგლებში. აანალიზებენ და ახარისხებენ განცხადებებს შინაარსის და რეაგირების საჭიროების მიხედვით. აღნიშნული განცხადებების და შეხვედრების ანალიზის შედეგად გამოკვეთილია მოსახლეობის ძირითადი საჭიროებები: სოციალური, საგზაო-ინფრასტრუქტურული, დასაქმების, მიწის ლეგალიზების და კეთილმოწყობის მიმართულებებით.

წარმოგიდგენთ არსებული განცხადებების დეტალურ სტატისტიკურ სქემას:

- 2018 წლის ნოემბრიდან დღემდე შემოსულია მოქალაქეთა 933 განცხადება.

.სოციალური საკითხები
.სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული საკითხები
.კეთილმოწყობის საკითხები
.დასაქმება
.სხვადასხვა

სოციალური საკითხების კუთხით, მოქალაქეთა ძირითადი ნაწილი მოგვმართავს მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თხოვნით. ავჭალა-გლდანის ხევის ტერიტორიული ერთეულის მასშტაბით 2018 წლის ნოემბერიდან დღემდე, მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში, განხორციელებულ იქნა 2 500-მდე საგარანტიო წერილი:



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-0319297124
თარიღი: 24/10/2019
პინი: 0570

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა
მისამართი: გლდანი - ქალაქი თბილისი, ხარაგაულის გაქნ. #1გ

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ასლი:

ადრესატი:
პირადი ნომერი:
მისამართი:

თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელს

ბატონ ბექა მიქაუტაძეს

ბატონო ბექა,

გაცნობებთ, რომ დეპუტატის ბიუროში განცხადებით მოგვმართა მოქალაქე [redacted] რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ესაჭიროება დაუყოვნებლივი გამოკვლევა. მოქალაქე არის პენსიონერი, არ აქვს არანაირი შემოსავლის წყარო, მოკლებულია შესაძლებლობას - გადაიხადოს საჭირო მომსახურების საფასური და ითხოვს შესაბამის დაფინანსებას.

მოგმართავთ თხოვნით, შეისწავლოთ საკითხი და დაკმაყოფილოთ განცხადება შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში.

შუამდგომლობას თან ერთვის მოქალაქის მიერ ჩვენთან წარმოდგენილი განცხადება და შესაბამისი დოკუმენტები.

ძალიან დაგვავალებთ, თუ რეაგირების თაობაზე წერილობით აცნობებთ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მოქალაქე ნათელა კაპატაძეს.

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისთვის.

დანართი: 05 ფურცელი

პატივისცემით,

შალვა ოგბაიძე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/

თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: (+995 32) 2 15 93 93, sakrebulo.ge
Freedom square 2, 0114 Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 2 15 93 93; www.sakrebulo.ge

გლდანის რაიონში მცხოვრებ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოთი სარგებლობს -1800 ბენეფიციარი, რომელთაც გამგეობა ახალწელს და აღდგომას ერთჯერადად ეხმარება სხვადასხვა სახის ნობათით,ამასთანავე გამგეობა ეხმარება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მეომართა ოჯახებს.



სოციალური საკითხი

მყარი საწვავი

ქირით უზრუნველყოფა

სტიქიით მიყენებული ზიანის ანაზრაურება

სარიტუალო მომსახურება

საგზაო ინფრასტრუქტურული მიმართულებით, ავჭალა-გლდანის ხევის ტერიტორიული ერთეულის მასშტაბით ,დღეის მდგომარეობით , შესრულებულ იქნა 2 601 285,83ლარის ღირებულების სამუშაო, კერძოდ:

საგზაო ინფრასტრუქტურული მიმართულებით



2018 წლის ნოემბრიდან, დღემდე ავჭალა-გლდანის ხევის ტერიტორიული ერთეულის მასშტაბით კეთილმოწყობის მიმართულებით დაიხარჯა 589 776.42 ლარი, ჩატარებულ იქნა შემდეგი სამუშაოები:



ავჭალის საუბნო ერთეულში მიმდინარე პროექტები:

- ლეონიძის ქუჩაზე მიმდინარეობს ასფალტსაფარის მოწყობა.

- სვანეთის ქუჩაზე მიმდინარეობს ბეტონსაფარის მოწყობა.

- ჭიჭინაძის ქუცაზე მიმდინარეობს წყლის ქსელის სრული რეაბილიტაცია, რეაბილიტაციის შემდგომ მოხდება ასფალტსაფარის მოწყობა.

- სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩაზე მიმდინარეობს მემორიალური სკვერის მოწყობა.

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

ლიბანის ქუჩაძე მოეწყო 5000კვ.მ ფართობზე სკვერი

და ჩატარდა დენდროლოგიური სამუშაოები



თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

თბილისის მერიის სამსახურების მიერ ჩვენს სამაჟორიტაროში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

- ბარბარე ჯორჯაძე-ერისთავის ქუჩაზე მოეწყო საკანალიზაციო ქსელი.
- ჭიჭინაძისა და თავისუფლების ქუჩაზე მოეწყო სანიაღვრე ქსელი.

თბილისში, ავჭალის ხიდთან მიმდებარე ტერიტორიაზე (მდ. გლდანულას კალაპოტიდან) ინერტული სამშენებლო ნარჩენების გატანის სამუშოები

თბილისში, გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზირზე, მდ. გლდანულაზე არსებული ხიდების რეკონსტრუქციის სამუშაოები

2018 წელს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ გლდანის რაიონის ტერიტორიაზე კერძოდ უწერის ქუჩაზე მოეწყო ასფალტსაფარი.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ გლდანის რაიონის ტერიტორიაზე დაგეგმილი პროექტები

- ე.ანდრონიკაშვილის ქუჩის სრული რეაბილიტაცია.
- რკინიგზის სადგურის მიმდებარედ დაიწყება მულტიფუნქციური სივრცის მოწყობის პროექტირება.

გარე განათება:

ავჭალა,სარაჯიშვილი,ფოცხიშვილი და ლიბანის ქუჩის კვეთა.
დასრულდა ახალი საგზაო კვანძის მოწყობითი სამუშაოები.

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

29 ოქტომბრიდან 4 ახალი N108 ავტობუსი მოემსახურება ჩვენს მოქალაქეებს.

ზებრა გადასასვლელები

მოსაცდელი და დროის მაჩვენებელი ტაბლო

შემაფერხებელი ბარიერები





საგზაო ნიშნები, ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნები

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი ბატონი ირაკლი თავართქილაძე იმყოფებოდა ავჭალის მაჟორიტარ შალვა ოგბაიძის ბიუროში სადაც ადგილზე გაეცნო სამაჟორიტაროში არსებულ პრობლემებს და შეხვდა მოსახლეობას.

30-ზე მეტ ოჯახს მისცა ნებართვა კომუნიკაციების შეყვანის შესახებ.

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

ავჭალა-გლდანის ტერიტორიაზე მოხდა სხვადასხვა ლოკაციების გამწვანება.

თბილსერვის ჯგუფი

თბილსერვის ჯგუფის უფროსის პირველი მოადგილე ბატონი დავით დოლიძე იმყოფებოდა ავჭალა-გლდანის ტერიტორიაზე მაჟორიტარ შალვა ოგბაიძის თხოვნით, ადგილზე გაეცნო სამაჟორიტარო ოლქში არსებულ პრობლემებს და დასახა მათი აღმოფხვრის გზები:

დაიგეგმა მასშტაბური დასუფთავების სამუშაოები გლდანულაში ეკლესიის მიმდებარედ და პატარა გლდანში კაჭარავას ქუჩაზე.

დაზიანებული და ძველი ურნები ჩანაცვლდება ახალი ურნებით.

საახალწლო ილუმინაციები



მოგეხსენებათ რომ მე ვარ სატრანსპორტო საკითხთხა კომისსის წევრი, ამიტომ ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია სატრანსპორტო საკთხთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა ჩემს სამაჟორიტაროში, აქედან გამომდინარე აქტიურად ვარ ჩართული სატრანსპორტო პილიტიკის განვითარებაში, ჩემი მაჟორიტარიტარად არჩევიდან თითქმის 2 წელი გავიდა, ამ დროის განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელიდა, მაგალითად როგორიც არის:

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ავჭალა გლდანის ხევის ტერიტორიაზე დაიხაზა 10-ზე მეტი ზებრა გადასასვლელი და დაიდგა შესაბამისი საგზაო ნიშნები

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოაწყო ასფალტსაფარი და სანიალვრე ქსელი შემოსავლელ გზაზე და ზაჰესის დასახლებაში

მოეწყო ავტობუსის მოთხოვნითი გაჩერები შესაბამისი ნიშნებით

სარაჯიშვილის გამზირზე დამონტაჟდა სიჩქარის გამზომი რადარი

თბილისის შემოსავლელ გზაზე დამონტაჟდა სიჩქარის სექციური კონტროლის სისტემა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ჩემი, როგორც მაჟორიტარი აქტიური ჩართულობით წყალსადენის ქუჩა N7-ში მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტში, ყოფილ სასტუმრო „ბახტრიონში“ მოეწყო ლიფტი.

როგორც იცით ყოფილი სასტუმრო „ბახტრიონში“ 380 ოჯახი ცხოვრებს, დღეიდან ჩვენი მოსახლეობა შეძლებს ლიფტით სარგებლობას.

სამუშაები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „რეალ სერვისმა“ შეასრულა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დაკვეთით და ჯამში 130 578,00 ლარი დაიხარჯა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს ვინც ამ ლიფტის მოწყობის საქმეში მცირედი წვლილი შეიტანა და გაახარა წყალსადენის ქუჩა N7-ში მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტში, ყოფილ სასტუმრო „ბახტრიონში“ მცხოვრები 1200 მოქალაქე.

წყალსადენის ქუჩა N7-ში მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტი, ყოფილი სასტუმრო „ბახტრიონი"

მაჟორიტარის ბიუროში მოგვმართეს რამდენიმე იძულებით გაადადგილებულმა პირმა, რომელთაც არ ჰქონდათ აღებული კომპენსაცია და არ იყვნენ დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით. ჩემი აქტიური ჩართულობით 4-ზე მეტმა ოჯახმა აიღო შესაბამისი კომპენსაცია.

სულ მალე მოხდება საკუთრების უფლების მინიჭება რამდენიმე ოჯახისთვის.

ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

- Georgian Water and Power

სპარტაკ ბალაშვილისა და გურიის ქუჩაზე მცხოვრებ მოქალაქეებს აქვთ წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით პრობლემა. ჩატარდა კომბინირებული სამუშაოები და სულ მალე აღნიშნული პრობლემა მოიხსნება სატუმბი სისტემის მოწყობით.

ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის წამომადგენლობის მიერ ჩემს სამაჟორიტარიში გაწეული სამუშაოები

სულ მალე დაიწყება ჯანჯღავას ქუჩის მეორე ჩიხისა და ლიბანი-გურიის ქუჩის დამაკავშირებელ მონაკვეთზე წყლის მილების სრული რეაბილიტაცია, რომლის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ასფალტსაფარის მოწყობა.

საქართველოს რკინიგზა

აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს რკინიგზასთან,რომელმა სამსახურმაც ჩემი თხოვნით ცქიტიშვილის ქუჩაზე არსებული საკანალიზაციო ქსელის პრობლემის გადაჭრის მიზნით ჩაატარა 25 000 ლარიანი ტენდერი და სულ მალე შეიცვლემა საკანალიზაციო ქსელი, რაც ძალიან დიდ პრობლემას მოუხსნის ქვემო ზაჰესის მოსახლეობას.

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ჩვენს ტერიტორიაზე არის 9 ბაღი, მე აქტიურად ვთანამშრომლობ ბაღების წარმომადგენლებთან და ვეხმარები სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში

გლდანულაში, N185-ე ბაგა-ბაღის ეზოში მოწყობილი ავტოქალაქი



ჩვენი ქვეყნისთვის დღემდე გამოწვევად რჩება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების საკმაოდ მაღალი დონე. ამ სამწუხარო სტატისსტიკის შესამცირებლად ამ ბოლო დროს განხორციელდა ბევრი ღონისძიება(კანონმდებლობის დახვეწა, საპატრულო პოლიციის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, პირადი შემადგენლობის გათრეინინგება, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, მოძრაობის ორგანიზაციის დონის ამაღლება, სიჩქარის ლიმიტის კონტროლის ამაღლება და ა.შ.), მაგრამ ავარიის გამომწვევ ძირითად მიზეზად კვლავ რჩება ადამიანის ფაქტორი. მძიმე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებში კვლავ ,,ლიდერობს'' სიჩქარის გადაჭარბება, ქვეითზე დაჯახება და ა.შ. სამძღოლო და ქვეითის (და ზოგადად-მოძრაობის მონაწილის) კულტურის ჩამოყალიბება ევროკავშირის ქვეყნებში იწყება საბავშვო ბაღის(სკოლამდელი) ასაკიდან. ამ მიზნით, თითქმის ყველა მუნიციპალურ ბაღს გააჩნია ღია თუ დახურული სივრცე, სადაც იმიტირებული საგზაო მოძრაობის მოდელია შექმნილი.

ამ მიზნით, პირველად საქართველოში და ჩვენს დედაქალაქში თბილისის მერიის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს და თბილისის საკრებულოს გლდანი(ავჭალის) მაჟორიტარი დეპუტატის შალვა ოგბაიძის ინიციატივით თბილისის 185-ე ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე მოეწყო იმიტირებული საგზაო მოძრაობის მოდელი, რომელიც მოიცავს ჩვენი ქუჩებისთვის დამახასიათებელ რამდენიმე მოდულს: სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის განკუთვნილი სავალი ნაწილი, ტროტუარები, გზაჯვარედინი, შუქნიშნები(როგორც მძღობისთვის, ასევე, ქვეითებისთვის), ავტობუსის გაჩერება, ქვეითებისთვის განკუთვნილი ,,ზებრა'', პარკირების ზონები და ა.შ.)

2019 წელს ავჭალა-გლდანისხევის ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა N185-ე და ზაჰესის ბაგა ბალებში.
ჯამში დაიხარჯა 162 000 ლარზე მეტი.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

როგორც სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი თავს ვთლი ვალდებულად ჩემს ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდები შემეცნებით ღონისძიებებში ჩავრთო. აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა ღონისძიებებში



ავჭალის 208-ე სკოლაში ჩატარდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ღია გაკვეთილი

მოგახსენებთ რომ ჩემს სამაჟორიტაროში 8 საჯარო სკოლაა

- ბავშვების განათლება ძალიან მნიშვნელოვანია. სრულყოფილი განათლებისთვის საჭიროა ინფრასტრუქტურული ხელშეწყობა, აქედან გამომდინარე მოხდა რამდენიმე სკოლის რეაბილიტაცია და ჯამში 2019 წელს დაიხარჯა 3 400 000 ლარამდე თანხა.

.N16 საჯარო სკოლა - 489 033 ლარი

.N45 საჯარო სკოლა - 407 583 ლარი

.N59 საჯარო სკოლა - 581 315 ლარი

.N118 საჯარო სკოლა - 1 154 600ლარი

.N208 საჯარო სკოლა - 695 930ლარი

2020 წლის ბიუჯეტისთვის მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება N209 და N120 სკოლებისთვის, რომლებიც გარემონტდება 2020 წლის ბოლომდე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმს ავჭალის მაჟორიტარი შალვა ოგბაიძე, სამაჟორიტაროში არსებულ სკოლის მოსწავლეებთან ერთად ესტუმრა.

აქტიურად ვარ ჩართული სხვადასვა აქციებში

უანგარო დონორაცია.

ხის გადარგვა

არაჩვეულებრივი აქცია ხელმოკლეთა დასახმარებლად კონიაკზე(მაღაზიის შესასვლელში),,შეიძინ ეთ ერთით მეტი''.

მოქალაქე ელისო ფეიქრიშვილი, რომელიც შეთანხმებით ცხოვრობდა საქართველოს რკინიგზის საკუთრებაში არსებულ ფართზე მდებარე ჯიხურში.

მოქალაქე ცხოვრობს საკმაოდ მძიმე პირობებში. ქალბატონ ელისოს გადატანილი აქვს შვიდი მძიმე ოპერაცია.

მე და საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე ერთად ვესტუმრეთ ქალბატონ ელისოს და ადგილზე გაეცანით ქალბატონის პრობლემას.

ჩემი და ბატონი გიორგის ჩართულობით ქალბატონს აღნიშნული პრობლემები მცირე დროში გადაუწყდება ხელოსანთა ქალაქის წარმომადგენლებმა და მათ ქალბატონ ელისოს გაურემონტეს საცხოვრებელი ფართი.

ერთად დავეხმაროთ ჩვენს მოქალაქეებს...

ერთად ვაკეთოთ სიკეთე...

სიკეთე გადამდებია...

მადლობას გიხდით ყურადღებისთვის